Solidarity Fund PL
in Georgia

კონკურსი მომსახურების შესყიდვაზე: საქართველოში ენერგოეფექტურობის პოტენციალის შეფასების ექსპერტი

FSM-2023-03-14

სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ეძებს კვალიფიციურ სპეციალისტს, რომელიც უზრუნველყოფს ენერგოეფექტურობის პოტენციალის შეფასებას რათა, შეიმუშაოს მორგებული ენერგოეფექტური ღონისძიებები საქართველოს თვითმმართველობის ერთეულებში და მონაწილეობა მიიღოს ენერგოეფექტურობის საკითხებთან დაკავშირებულ ისეთ აქტივობებში, როგორიცაა ტრენინგების დაგეგმვა და მათი უზრუნველყოფა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის.

მოთხოვნილი მომსახურება:

ენერგოეფექტურობის პაკეტების (EE) კორექტირება და ექსპერტის რჩევები

1. **ზოგადი ინფორმაცია**

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი მდგრადი ენერგეტიკული მომავლისკენ“ წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტს, რომელსაც ახორციელებს სოლიდარობის ფონდი PL საქართველოში ჩოხატაურის ადგილობრივი თითმმართველობის ორგანოსთან და ადგილობრივ პარტნიორთან ერთად.

პროექტი ეფუძნება ორ პრიორიტეტს, რომლებიც შემუშავებულია ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეთა შორის: 1) ჩოხატაურის საყოფაცხოვრებო კომფორტისა და საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდის მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის, ადგილობრივი ინფრასტრუქტურისა და სერვისების გაუმჯობესება; (2) მუნიციპალური სერვისების ხარისხისა და ანგარიშვალდებულების გასაუმჯობესებლად საზოგადოების მონაწილეობის, ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღებისა და კონსულტაციების წახალისება.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურა ჩოხატაურში, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე დაბალშემოსავლიანი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა საქართველოში, ცუდ მდგომარეობაშია. 2021 და 2022 წლებში ჩატარებულმა ენერგო აუდიტმა აჩვენა, რომ ცუდი ტექნიკური მდგომარეობა ასევე აისახება საჯარო ადმინისტრაციის შენობებზე და კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, როგორიცაა ამბულატორიები და საბავშვო ბაღები. საბავშვო ბაღები, სადაც მომავალი თაობები იზრდებიან, სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. მართებული ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილი გათბობით, სასწავლო სივრცეები ჯანსაღი და წარმატებული ჩოხატაურის მომავლის საწინდარია. ერთის მხრივ, 2021 წელს საბავშო ბაღებში განხორციელებულმა ენერგო აუდიტმა აჩვენა, რომ მიუღებელი ტექნიკური პირობების გამო ზოგიერთი საბავშვო ბაღის შენობა-ნაგებობა ენერგოეფექტურობის საპილოტე პროგრამიდან გამოირიცხა. მეორეს მხრივ, პილოტირებისთვის შერჩეულმა მისაღები ტექნიკური მდგომარეობის მქონე შენობებმა აჩვენა, რომ ენერგოეფექტურ ღონისძიებებს შეუძლია ბავშვების კომფორტის დონის გაუმჯობესება, რაც განიხილება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე ადგილობრივი თემების მიერ.

სექტორთაშორისი პარტნიორობა, კონსენსუსზე დაფუძნებული და შედეგზე ორიენტირებული თანამშრომლობა და გადაწყვეტილების მიღება არის ყველა ის პრინციპი, რომელიც საერთოა ყველა პროექტში მონაწილე ყველა მხარისათვის. აღსანიშნავია, რომ მოსალოდნელი შედეგები პოზიტიურ, გრძელვადიან ზეგავლენას მოახდენს ჩოხატაურის თვითმმართველობის სამსახურზე, მაცხოვრებლებისთვის გაწეული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და, შესაბამისად აისახება თვითმმართველობის გაზრდილ პასუხისმგებლობაზე.

2. დაგეგმილი აქტივობები ექსპერტის ჩართულობით:

ტრენინგი

2.1 სამიზნე ჯგუფებისთვის ენერგოეფექტურობის შესახებ ტრენინგის ჩატარება (EE) და სამოქალაქო მონაწილეობა (სულ 15 ტრენინგი/10 ტრენინგი 2023 წელს)

- ენერგოეგექტურობის (EE) საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგი სამიზნე ჯგუფებისთვის - მასწავლებლები, მშობლები და ის პირები რომლებსაც ეძლევათ გრანტი/სუბსიდია
- სემინარები ახალგაზრდებისა და პროფესიული სასწავლებლების სტუდენტებისთვის (VETs)
- სამუშაო შეხვედრები ენერგოეფექტურობის (EE) შესახებ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის და მასმედიისთვის

კონსულტაცია (სულ 20 კონსულტაცია, 2023 წელს - 10 კონსულტაცია)

2.2 გარე განათების მონტაჟი უდაბნოს გზაზე

- ქუჩების განათების ინვენტარიზაციის ჩატარება უდაბნოში

2.3 ჩოხატაურის ცენტრში ელექტრომობილების დამტენი სადგურის განთავსება

- სახელმწიფო შესყიდვების და ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადება ელექტრომობილების დამტენი სადგურის დამონტაჟებისთვის

2.4 მუნიციპალიტეტის მასშტაბით შუქდიოდური (LED) განათების სისტემების პოპულარიზაცია და მოდერნიზაცია

- აღწერა/ინვენტარიზაცია
- შუქდიოდური (LED) განათების მოდერნიზაციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დეტალური აღწერა

2.5 ჩოხატაურის ცენტრალურ პარკში ინოვაციური მრავალფუნქციური ენერგოეფექტური სადგომის დამონტაჟება

- დეტალური პროექტის მომზადება ინოვაციური მრავალფუნქციური ენერგოეფექტურ სკამებთან დაკავშირებით

2.6 კონსულტაცია ენერგოეფექტურობის პრომო ვიდეოსთვის ტექსტის მომზადებაში

Solidarity Fund PL
in Georgia

3. **შესასრულებელი სამუშაოს ხანგრძლივობა:**
2023 წლის 10 აპრილიდან 2025 წლის 31 ივნისამდე.

4. **შესასრულებელი სამუშაოს ადგილი:**
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი, საქართველო

5. **მინიმალური მოთხოვნები**

პროფესიული მოთხოვნები:

- ენერგოეფექტურობის სფეროში საჯარო ინსტიტუტების (სასურველია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების) მხარდაჭერის გამოცდილება
- ენერგოეფექტურობის ღონისძიებების შემუშავებისა და განხორციელების გამოცდილება
- ენერგოეფექტურობის შესახებ ტრენინგების ჩატარების გამოცდილება

განათლება/აკადემიური ცონდა:

- უმაღლესი განათლების დიპლომი რელევანტურ სფეროში
- ინგლისური ენის ფუნქციურ დონეზე ფლობა

განმცხადებლის შერჩევის კრიტერიუმები (მაქსიმალური ქულა 100) საბოლოო სიისთვის

ა) გამოცდილება (40 ქულა)

- ენერგოეფექტურობის შესახებ სასწავლო მასალების შემუშავებისა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისთვის ტრენინგების/ვორქშოფების/სემინარების ჩატარების გამოცდილება.

- სამთავრობო ინტიტუტებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის გამოცდილება.

ბ) კონკრეტული ადგილობრივი სპეციფიკის ცოდნა (40 ქულა)
საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობებში ენერგოეფექტურობის კუთხით ადგილობრივი კონტექსტის კარგი ცოდნა/პროფესიული გამოცდილება.

გ) ხელმისაწვდომობა (20 ქულა)

- პროექტის მიმდინარეობიბსას 15 ტრენინგის/ვორქშოფის ჩატარების შესაძლებლობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

- სსიპ ჩოხატაურის ადგილობრივი თვითმმართველობასთან ჯამში 20 (2023 წელს 10) ონლაინ/ოფლაინ კონსულტაციის ჩატარების შესაძლებლობა.

Solidarity Fund PL
in Georgia

7. მაქსიმალური ანაზღაურების ოდენობა და ინფორმაცია ფასთან დაკავშირებით

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 20 კონსულტაცია (10 კონსულტაცია 2023 წელს). თითოეული კონსულტაციის მაქსიმალური საფასური შეიძლება იყოს 250 ევრო (დასაბეგრი) - 5000 ევრო ჯამში.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 15 ტრენინგი (10 ტრენინგი 2023 წელს). ტრენინგის საფასურის მაქსიმალური საფასური შეიძლება იყოს 200 ევრო (დასაბეგრი) - ჯამში 3000 ევრო.

8. განაცხადის გამოგზავნა

განაცხადი წარდგენის ბოლო ვადაა 2023 წლის 3 აპრილი, თბილისის დროით 24:00 საათამდე, მისამართზე: georgiarep@solidarityfund.pl

9. პროცედურის შედეგის შესახებ ინფორმაცია გაიგზავნება განმცხადებლის მიერ მითითებულ ელ.ფოსტაზე და გამოქვეყნდება სოლიდარობის ფონდის PL_GEO Facebook-ზე https://www.facebook.com/solidarityfund.ge

10. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ განაცხადის შეტანით თქვენ თანახმა ხართ გაუზიაროთ განაცხადის შინაარსი სხვა განმცხადებლებს, რომლებსაც შეუძლიათ შესაბამისი მოთხოვნის გაგზავნა SFPL-ში (გარდა იმ პერსონალური მონაცემებისა, რომლებიც ანონიმური იქნება).

11. სოლიდარობის ფონდი PL უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს, სამართლიან და კანონიერ მოპყრობას დასაქმებაში ყველა ადამიანს რასის, ფერის, რელიგიის, სქესის, ეროვნული წარმომავლობის, ასაკის, ინვალიდობის, პოლიტიკური კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, დაცული გენეტიკური ინფორმაციის ან სექსუალური ორიენტაციის გარეშე.

12. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ წარდგენილ განაცხადებში მოცემული პერსონალური მონაცემების ადმინისტრატორია სოლიდარობის ფონდი PL, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ვარშავაში, ul. Mysłowicka 4, 01-612 ვარშავა. მონაცემები დამუშავდება მე- 6 მუხლის 1 გ პუნქტის საფუძველზე პოლონეთის კანონის პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ სახელმწიფო შესყიდვების პროცედურასთან დაკავშირებული მიზნებისათვის. თქვენ გაქვთ მოწოდებულ პერსონალურ მონაცემებზე წვდომის უფლება, პერსონალური მონაცემების გასწორების უფლება და უფლება მოითხოვოთ ადმინისტრატორს პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვა, რომელიც ექვემდებარება კანონის 18 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. თქვენ გაქვთ უფლება, საჩივრით მიმართოთ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფისის პრეზიდენტს. გაცნობებთ, რომ სოლიდარობის ფონდმა PL დანიშნა პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი, რომელსაც შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: iod@solidarityfund.pl